რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. სამის თვისა . . 3 მან.
ექვსის თვისა . . 5 მან. ერთის თვისა . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებას [illegible] ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ [illegible].
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

კვირას 4-ს სეკტემბერს დილის 11-ს საათზე მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას **სერგეი სვიმონიძის მესხისა** ქუთაისის კათედრალურს სობოროში იქნება პანაშვიდი მიცვალებულის მოსახსენებლად. (3—3)

## ტელეგრამები

(ჩრდილოეთის სააგენტოსი.)

27 და 28 აგვისტოს.

**პეტერბურღი.** ყველა მხრიდგან თანაგრძნობის ტელეგრამები მოდის შესახებ ტურგენიევის გარდაცვალებისა; რუსეთის ყველა მაზრებში პანაშვიდსა ხდილობენ; ზოგი ერთს ადგილებში განსვენებულის სახელზე სასწავლებლებს ხსნიან და სტიპენტიებს ნიშვნენ. პარიჟიდგან გვატყობინებენ რომ განსვენებული უკანასკნელს წუთამდის სრულს გონებაზედ იყო და ყველა თავისი მოძრავი საკუთრება უანდერძა ქალბ. ვიარდის.

კანონთა კრებაში განცხადებულ არის ახლად დამტკიცებული შტატები სამაზრო შეიარაღულ ჯარების, მილიციების და ცხენოსან სოტნების შესადგენად.

**პარიჟი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა წარმოთქმელ სიტყვაში ლაფაეტის ძეგლის გახსნის დროს წარმოსთქვა: გრაფი შამბორის სიკვდილით გამოწვეული მონარხიული აგიტაცია ხალხისაგან თანუგრძნობლად დარჩა.

**ვენა.** პოლიციისგან აღკრძალული მუშათ ყრილობა შესდგა. ყრილობის დროს არეულობა მოხდა, მაგრამ ხალხი დაშალა ჯარების და პოლიციის ჩარევამ.

**ზაგრე ი.** დღეს მეზიკით და ჯარების დასწრებით სახელმწიფო სახლებზედ ორ ენაზედ ნაწერი განცხადება იყო მიკრული.

**ლონდონი.** მიღებულია ცნობა, რომ ხანოესთან საფრანგეთის ჯარები კიდევ დამარცხებულან.

**პეტერბურღი.** გაზეთები ამბობენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი დასთანხმებია შესცვალონ მხოლოდ ფინლანდიაში წესდების ზოგიერთი ნაწილები, როგორც მაგალითად შეამცირონ ამ ადგილებში სამზღვარ გარეთიდგან შემოტანილს საქონელზედ ბაჟი და სხვა.

**ვენა** რუმინიის გარეგან საქმეთა მინისტრის ბრატიანოს, ბისმარკის და კალნოკის შუა მოლაპარაკებამ აღმოაჩინა, რომ რუმინიაც ემხრობა «სამთა კავშირს».

**ლონდონი.** (ოფიციალურის ცნობით). ბატავიდგან აცნობებენ, რომ კუნძულს იავაზედ, მიწის ძვრის გამო, დაღუპული ადგილობრივ მცხოვრებელთა რიცხვი არის 30,000-ამდის. ევროპიელთ რიცხვი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

**რიაზანი.** ნაწერი გამოძიება რიკოვის საქმისა შესახებ სკოპინის ბანკისა შეადგენს რამდენიმე ტომს რომელიც ას დაბეჭდილ თაბახს შეადგენს; ამ საქმეში გარეულები ციხეში ჩასხეს; სეკრეტარი დონსკოი თავდებობით არის გამოშვებული, მხოლოდ თავდებს საწინდრად წარუდგენია 50,000 მ.

**პეტერბურღი.** სელეცის გარშემო მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ 70 ბატალიონი ქვეითა ჯარი; 51 ესკადრონი მხედართა და 120 ზარბაზანი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ჩივიან ვაჭრობის დავარდნას, უფულობას და ვექსილებზედ გაუსწორებლობას.

29 აგვისტოს.

**პეტერბურღი.** გაზეთებში იწერებიან, რომ შეემუშავებიათ კანონდება ცხრა დასავლეთის გუბერნიის სოფლელ ხიზნების და ებრაელ-ხიზნების ცხოვრების გაუმჯობესობისთვის. კანონ-დებას მიზნათა აქვს ხიზნებს საშეალება მისცეს სახიზნო მიწების გამოსყიდვისა და ღალიდამ თავის დახსნისა.

**ოდესა.** 27 აგვისტოს კრეისერი «პეტერბურღი» წავიდა ვლადივოსტოკში უსურიის მაარეში სამსახურისთვის დანიშნული სამხედრო კომანდის 800 დაბალი ჩინით და 20 ოფიცრით.

**ლიბავა.** ბარონი ნოლდეს მკვლელნი დაატუსაღეს, ისინი არიან ვირგენელი გლეხები — მამა და შვილი.

**კოპენჰაგენი.** გუშინ აკურთხეს ახალი მართმადიდებელი ეკლესია ხელმწიფეს, ხელმწიფას, დანიის სამეფო გვარეულობის და კოპენჰაგენის ნავთსადგურში მდგომი რუსის სამხედრო გემების დეპუტაციათა თანადასწრებით; კურთხევის შემდეგ იმპერატორის იახტა «დერჟავაზე» გამართეს უმაღლესი საუზმე, რომელზედაც ხელმწიფემ მეფის და მეფემაც იმპერატორის გვარეულობის სადღეგრძელო წარმოსთქვეს. როდესაც მათი დიდებულებანი უკან დაბრუნდენ, კოპენჰაგენის ქუჩებში ხალხი აღტაცებულის «ურას» ძახილით მიესალმა მათ. საღამოზედ რუსის გემებზე ჩირაღდანი გამართეს.

30 აგვისტოს.

**კოპენჰაგენი.** დღეს ხელმწიფე იმპერატორის დღესასწაულის გამო აქაურს ახალს რუსის ეკლესიაში პარაკლისს გადიხდიან, შემდეგ იახტა «დერჟავაზე» საუზმე იქნება და საღამოზედ რუსის და დანიის გემებზე ჩირაღდნებს გამართავენ.

**ბერლინი.** აქ მოვიდენ გრაფი პავლე ანდრიას-ძე შუვალოვი და სხვა რუსის ოფიცრები, რომელნიც გამოგზავნილნი არიან გერმანიის ჯარის მანევრებზე დასასწრებლად.

**პეტერბურღი.** დღეს ხელმწიფე იმპერატორის დღესასწაულის გა-

---

«დროების» ფელეტონი, 1 სექტემბ.

## ბათუმის სურათები.

### VII

მერნზედ ერთი კაცი მოდის; ეტყობა, რომ მგზავრია. მაღალ-ყელიანი წაღები ჯერ ისევ ფეხზედ აცვია, საკვირველი არ ეცვა[illegible]. ზღვის მხრიდგან მოდის და აქეთ-იქით იყურება, შენობებს ათვალიერებს.

— რა მშვენიერი სახლია? მოთმაზედ წამოიძახებს და დაუწყებს ყურებას უზარმაზარ შენობას, რომელიც ჯერ არ დაუსრულებიათ.

— ნეტა, ვისი იქნება?.. ბათუმში ამისთანა შენობა?! უკვირს ცნობის მოყვარეს. — წინა და უკან რამოდენა თავისუფალი ადგილი აქვს!.. რატომ აქ-კი არაფერს აშენებს.

მგზავრი იყურება აქეთ-იქით და ეძებს ვისმე, რომ გამოჰკითხოს.

— თუ არ შეგაწუხებთ, მიბძანეთ, ბატონო, ვისია ეს შენობა? მიუბრუნდება ერთ ყმაწვილ-კაცს, რომელიც იქვე იდგა.

— ეს შენობა?.. საკვირველია, მაგ სიტყვებს დღეს მესამედ, თუ მეოთხეთ მკითხვენ! წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა და თითონვე დაუმატა:

— მაგრამ საკვირველიც არ არის; მართლაც, რომ შესანიშნი შენობაა და შესანიშნს ადგილზედაც სდგას!.. თბილისელი სომხისაა.

— ძალიან მდიდარი უნდა იყოს, რომ ამისთანა შენობა აუმართავს.

— მაგათას კაცი ვერას გაიგებს! უყურებთ, შეძლებულია, ნდობა აქვს, მაღაზიები გაუჩაღებია, ვაჭრობა სდუღს იმის სავაჭრო სახლებში, მოიხედავთ და ერთბაშად ყველაფერი განქრა! — გაკოტრდაო! დაიძახებენ.

— მართლა კოტრდებიან?

— მაგას ეშმაკიც ვერ გაიგებს!.. მხოლოდ ეს-კი გამოაშკარავდება ხოლმე, რომ კრედიტორები მანეთის მაგივრად ორ შაურს მიიღებენ და გაკოტრებულები-კი ისევ მაღაზიებს გამართვენ.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მოუსვენარმა ცნობის მოყვარემ ისევ დაიწყო: ...

— ეს ადგილები ძალიან ძვირად უნდა ფასობდეს, რადგანაც ნავთსაყუდართანაც, რკინის გზის ვოგზალთანაც და მაღაზიებთანაც ძალიან ახლოა... თითქოს შუაში განგებ ჩასდგომია...

— დიაღ, აქ ოთხ-კუთხი საჟენი თოთხმეტ თუმნამდინ ფასობს.

— თოთხმეტი თუმანი? გაიკვირვა მგზავრმა.

— დიაღ, თოთხმეტი თუმანი.

— თქვენა ბძანეთ, რომ ამ სახლის პატრონი თბილისელია, — მაშ ეს ადგილი ძალიან ძვირად უნდა დასჯდომოდა.

— სულაც არა.

— როგორ თუ არა? გაშტერდა ცნობის მოყვარე.

— ორ მანეთად იყიდა ოთხ-კუთხი საჟენი!.. ხუმრობა-კი არ გეგონოთ: ნამდვილს მოგახსენებთ.

— რას ბძანებთ!.. თქვენა სთქვით, რომ ამ ადგილების ოთხ-კუთხი საჟენი თოთხმეტ თუმნამდინ ფასობსო და ეხლა-კი იმას ბძანებთ, ორ მანეთად იყიდაო!?

— დიაღ, აგრე ფასობს, მაგრამ ამ სახლის პატრონმა-კი ორ მანეთად იყიდა.

გაოცებულმა მგზავრმა შეხედა. პირველში ისიც-კი ეგონა, რომ ყმაწვილი კაცი მასხარად იგდებდა, მაგრამ მოსაუბრეს პირისახეზედ მასხარობა სრულიადაც არ ეტყობოდა, თითქოს სიბრაზესაც-კი მოეცვა იმისი სახე.

— იქამდის მაოცებს თქვენი სიტყვები, რომ კიდევ უნდა შეგაწუხოთ... მიამბოთ, რა რიგად მოხდა ეგ შემთხვევა...

— ინებეთ. ეგ ადგილი ქალაქისა გახლდათ... ქალაქის საკუთრებაზედ ზრუნვა სხვა პირებს ჰქონდა და ეხლაც აქვს ჩაბარებული... ასე წოდებული ქალაქის დეპუტატები ისე არიან ამორჩეულნი, — ბათუმელების დეპუტატებს უბძანეს, რომ

მო დედა-ქალაქი შემკულია დროშებით; ალექსანდრეს მღვიმეში დღესასწაულებრივი წირვა გადაიხადეს სასახლის დიდებულთ, გენერალიტეტის და პეტერბურღის ჯარის ოფიცრების თანდასწრებით.

წრეულს გაზეთი «გოლოსი» ვეღარ გამოვა და ხელის-მომწერლებს ფულებს უკან დაუბრუნებენ.

გაზ. «ნოვოე ვრემია» იწერება, რომ სახელმწიფო რჩევა, რამწამსვე დაიწყება სხდომები, მაშინვე იმ პროექტის განხილვას შეუდგება, რომელიც დასავლეთ ციმბირში სახელმწიფო მამულების ცალკე მმართველობის დაწესებას შეეხება. პროექტს მიზნათა აქვს მოსპოს ხე-ტყის, ნაყოფის და სხვა სახელმწიფო საკუთრების ტაცება და პარვა.

**კიევი.** კვირას დაიწყო აქ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენის უკეთესს განყოფილებას შეადგენენ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელთა რიცხვშიაც რამდენიმე ახლად-მოგონებული იარაღი ურევია. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს თევზების გასაშენებლად გამართული აკვარიუმი.

**კროლევეცი.** ცეცხლმა ლათინოვკა გადაბუგა; 300 სახლი დაიწვა; 400,000 მანეთის ზარალია.

**ვენა.** აქ მოვიდა ესპანიის მეფე.

**ზაგრები** კვირა საღამოს ხალხის გროვამ რამდენსამე ებრაელთა სახლებს ფანჯრები ჩაუმტვრიეს და იქ მოსულს ჯარს ქვებს ესროდენ; ჯარებმა თოფი ესროლეს, მაგრამ არავინ კი არ დაჭრილა; ბევრი დაატუსაღეს; ღამემ მშვიდობიანად გაიარა.

**ნიუ-იორკი.** 28 აგვისტოს გაიხსნა ჩრდილოეთის მყუდრო-ოკეანის რკინის გზა.

**პარიჟი.** ტულონიდგან ტონკინში 600 კაცი და 6 ზარბაზანი გაგზავნეს. გაზეთები კიდევ თხოულობენ მისაშველებელი ჯარების გაგზავნას და ენერგიულს მოქმედებას შავი დროშების წინაამდეგ.

## თბილისი, 31 აგვისტო.

«მოსკოვის უწყებების» თბილისელი კორესპონდენტი ამას წინეთ იწერებოდა, რომ ქართველები შეადგენენო მცხოვრებლების უმეტესს ნაწილს თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში და დანაშაულობათ სთვლის, რომ ქართველები ძლიერ იცავენ და აფასებენ თავიანთ ხალხოსნობას და დედა-ენას, მეტადრე გათათრებულ ბათუმის მაზრაშიო, სადაც ხელ-ახლავ გაქართველებას უპირებენ ხალხსაო სახალხო სკოლების საშუალებით, რომლებიდამ ვითომც «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» წესდების მე-3 § ძალით სრულიად განდევნილი იყოს რუსული ენა. როგორც ვხედავთ, ბ. კორესპონდენტი ერთობ შეჩვეული ყოფილა ცილის-წამებას და ამ გზობასაც მას არ შერცხვენია აშკარა სიცრუვე გამოეცხადნა საქვეყნოთ. ბ. კორესპონდენტის საქციელი ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს, რადგანაც ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ვკითხულობთ მისი და ბ. პატკოვის... ნიმუშს. თბილისელმა კორესპონდენტმა კარგად უნდა იცოდეს, რომ რუსული ენა სრულიადაც არ არის განდევნილი «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლების პროგრამიდამ; საქმე იმაშია, რომ «საზოგადოების» და სამოსწავლო ოლქის მზრუნველის პროგრამების შორის არსებობს ცოტაოდენი განსხვავება შესახებ ქართული და რუსული ენების დადგენისა სახალხო სკოლებში.

ამაზე დაწვრილებით ამ ჟამად არაფერს არ ვიტყვით, რადგანაც ყოველივე ესე კარგად მოეხსენება ბ. კორესპონდენტს და ჩვენს საზოგადოებასაც.

მეორე აშკარა სიცრუვე, ბ. კორესპონდენტო, გახლავს ისა, ვითომც ბათუმის მაზრის მცხოვრებნი გათათრებულნი იყვნენ; თქვენ კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ბათუმის მაზრის მცხოვრებნი დღესაც ქართველნი არიან ენითა, ჩვეულებითა, რომ მათ დღემდის დაუცავთ თავიანთი ხალხოსნობა რამდენიმე საუკუნოების განმავალობაში ოსმალოს ბარბაროსულ მფლობელობის ქვეშე; მათ დაუკარგავთ მხოლოდ მამა-პაპური სარწმუნოება, მაგრამ კარგად უნდა იცოდეთ, რომ ხალხოსნობა გამოიცნობა არა მარტო სარწმუნოების განსხვავებით, ანუ ერთობით. ეს ორი ნიმუში თქვენი უსინიდისობისა, ბ. კორესპონდენტო! მეტს თქვენთან არ ვისაუბრებთ, რადგანაც კარგად ვიცით, თუ რაზე დაუგეშიხართ თქვენს ოსტატს და საჭიროდ არა ვთვლით თქვენისთანა სინიდის დაკარგულ ადამიანებთან პოლემიკას. აქ მხოლოდ საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ ორიოდე სიტყვა გაზეთის «Востокъ»-ისა, რომელიც იმავე საგნის შესახებ ამბობს შემდეგს: «ქართველების სურვილი თავიანთი ხალხოსნობის დაცვის შესახებ იმოდენად სამართლიანი და საფუძვლიანია, რომ მათ უნდა აღმოუჩინოთ თანაგრძნობა და შემწეობა და არა დაბრკოლება. რუსეთის ერთ-მორწმუნე და ფრიად ერთგული ქართველი ხალხი თავის ნება-ყოფლობით მიენდო რუსეთის ხელმწიფეებს და აღიარა იგინი თავისი ხალხოსნობის მფარველებათ და მოსარჩელეთ. ყოველს ომში ოსმალეთთან ქართველებს გამოუყვანიათ ომის ველზედ თავისი ნებით რამოდენიმე «დრუჟინა», რომლებიც აკვირვებდენ თავისი მამაცობით და გმირობით თვით დახელოვნებულ კავკასიელ ჯარებსა. ქართველები მოწადინებულნი არ არიან რუსეთს მოშორდენ; მაგრამ იმათ არ შეუძლიათ სთქვან, რომ რუსეთის ზოგიერთი ჩინოვნიკობა უყურებდეს მათ ისეთის კეთილის გრძნობით, როგორათაც უყურებს ბალტიის მხარეში მყოფ ნემეცებს, რომლებიც ცდილობენ გაანემეცონ არა ნემეცური მხარე, და ამ მხრით მათ არ ეძლევათ არავითარი დაბრკოლება მმართებლობისაგან.

რაც შეეხება ქართული სკოლების გამართვას ბათუმის მხარეში, უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარი სკოლები ფრიად საჭირონი არიან, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებნი, თუმცა დღეს მაჰმადიანობას აღიარებენ, მაგრამ გრძნობენ ნათესაობას ქართველ ხალხთან და ლაპარაკობენ ქართულს ენაზე. იმათ კარგად იციან, რომ მათი ძველნი აღიარებდენ ქრისტიანობას; ამას გვიმტკიცებს ჩვენ მრავალნი ეკლესიების და მონასტრების ნანგრევები, რომლებიც განფანტულნი არიან ქობულეთში და აჭარაში. ახლად შემოერთებული ხალხის გულის მოსაპოვებლად და ჩვენ და მის შორის მჭიდრო კავშირის დადგენისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქართული სკოლების გამართვა ბათუმის მაზრაში.»

## შინაური ქრონიკა

≈≈ სენაკის მაზრის სოფ. ბოლადამ გვწერენ, რომ იქ აზნაურ არჩილ ქორძაიას მამულში კარგა ხანია, რაც გამოჩენილა ერთი დიდი ცივი წყარო, რომელსაც გოგირდის სუნი

---

სასარგებლო იქნებოდა და აქ ერთი კარგი შენობა ჩაედგათ, საზოგადოების თავ-მოსაყარი გაემართათ... ქალაქს ფული არ ჰქონდა, თითონ ვერ ააშენებდა, მაშასადამე ფულიანი კაცი უნდა ეშოვნათ... დეპუტატები თანხმანი იყვნენ, რადგანაც აქ ცუდს არას ხედავდენ და თუნდა კიდეც დაენახათ, ეს არას უშველიდა, რადგანაც დათანხმებას უბძანებდენ და ძალა-კი აღმართსა ხნავს.

— იშოვეს ფულიანი კაცი, მოჰყვნენ პირობაზედ ლაპარაკს, ფულიანი კაცი აღმოჩნდა ქალაქისთვის დიდათ მზრუნველი, რადგანაც ის თანახმა იყო ქალაქისგან მიცემულს პლანზედ აეშენებინა სახლი, ეხმარა მხოლოდ ოცი წელიწადი და ამის შემდეგ ქალაქისთვის დაებრუნებინა... იქ გაიმართებოდა კლუბი, უპრავა, სუდი და ყველა სხვა საქალაქო სამმართველო!.. ამის გარედ ადგილში ექვს თუმანს ოთხს კუთხს საჟენში ჰპირდებოდა.

— ჩინებული პირობაა! წამოიძახა ცნობის მოყვარემ.

— ყველას უხაროდა, ყველა ღიმილით წარმოსთქვამდა ბათუმის დამამშვენებელს და გულ-უხვი სტუმრის სახელს... პირობა დასწერეს, ყველანი ხარობდენ. გამოიარა რამდენიმე ხანმა და ერთს დილას ბათუმელებს უწყება-კი მიერთვათ...

— უწყებები!

— ადგილის მყიდველი პირობის ძალით სამოცი-ათას მანეთს ნეუსტოიკას ითხოვდა, რადგანაც კუპჩა დანიშნულ ვადაზედ ვერ დაამტკიცეთო და ეს-კი პირობის დარღვევასა ნიშნავსო...

— რას ბძანებთ!..

— ნამდვილს, ჩემო ბატონო!

— მერე რად დააგვიანეს კუპჩა?

— მაშინ ბათუმის საქმე თბილისში, სადაც ვაჭარი სცხოვრებდა, იგზავნებოდა, იქ სადღაც ნება-დართვა უნდა აეღოთ, რომ გასყიდულობის წერილის დამტკიცებას შესდგომოდენ... იქ, არვიცი ჩვეულების გამო, თუ სხვა რომელიმე მიზეზი იყო, — «ნონჩი, ზავტრა» იქამდინ გაიმართა, სანამ პირობის ვადა გავიდოდა... ბათუმელებმა ბოლოს ქვას თავი ბევრი აწყვიტეს, მაგრამ გვიან-ღა იყო... გულკეთილი სომეხი ამობდა კუპჩა დროზედ ვერ შემისრულეთ, ნეუსტოიკა უნდა მომცეთო... რამდენიც დღე გადიოდა, ეს ვალი წარმოუთქმელის პროგრესით იზრდებოდა. ქალაქმა ბოლოს არჩია ორ მანეთად ოთხკუთხი საჟენი დაეთმო ოღონდაც ნეუსტოიკა თავიდგან მოეშორებინა.

— საკვირველი ქალაქი ყოფილა ბათუმი და უფრო საკვირველი წყობილება ჰქონია, — წამოიძახა ცნობის მოყვარემ და გაეკიდა თავის გზას.

×

აი სპარსელი ყულიას ყავახანა. მაჰმადიანები მშვიდობიანად სხედან და ყალიონს აჩუხჩუხებენ. რამაზანია, ყველა მოელის იმ ნეტარების საათს, როდესაც მაღალი მინარეთიდგან მოლა მართლ-მორწმუნე მაჰმადიანებს შეატყობინებს მარხვის გახსნას და მიიწვევს სალოცავად.

ეს წუთიც მოვიდა. ვარსკვლავებმა ცაზედ კაშკაში დაიწყეს, ყულიასთან მომეტებული ხალხი გროვდება. ყველანი გაჩუმებული სხედან და ყურს უგდებენ ვიღაცა აშუღის გაუთავებელ ზღაპარს.

აშუღი დადის განგებ იმისთვის თავისუფლად დაგდებულს ადგილზედ ხელებისა და თავის ქნევით, მარდად და სასიამოვნოდ მოუთხრობს მსმენელთ. ხმას ამაღლებს და ადაბლებს, მთელი სახე მოძრაობაში აქვს იმის კვალობაზედ, თუ რა საგანს შეეხო ლაპარაკი.

სპარსული რომ სულ არ იცოდეთ, აშუღის მიმიკიდგან გაიგებთ, რაზედაც საუბარი აქვს, მსმენელთ ესმით სახალხო გმირად გადაქცეულის ქოროღლის სახელი; ან კიდევ სხვა რომელიმე გმირის ცხოვრება. ესმის ამ გმირის პატიოსნებით სავსე მოქმედება, მისი სივაჟკაცე, უშიშრობა, მსმენელთ უხარიანთ, პირისახე უცინით და თვალ-წინ უდგათ თავიანთი იდეალები...

ეს მარტო უბრალო დროს გატარებას არ ემგზავსება; რაღაცა უფრო ძრიელი, უფრო გონივრული და მო-

და გემო აქვს; ბოლას და გარშემო სოფლების მცხოვრებლები სარგებლობენ ამ წყლით ყოველს წელიწადს 15-ს ივლისიდამ ვიდრე ენკენისთვის დამლევამდინ; ამ წყაროზე ყოველ დღე იმყოფება ორმოციოდე ქალი და კაცი, რომლებიც ბანაობენ წყაროში. წყაროს მეპატრონეს, არჩილ ქორძაიას, შეუკეთებია წყარო, გაუკეთებია აუზი და დაუდვია სულზე ორი შაური გადასახადი; არც ამის შემდეგ შემცირებულა მსურველთა რიცხვი და, როგორც ამბობენ, ეს წყარო ჰკურნავს ზოგიერთა ავად-მყოფობით სნეულებსა. კორესპონდენტი გვწერს, რომ თვით მეპატრონეს, ქორძაიას, არა აქვს საშუალება მოიწვიოს ექიმი იმ წყაროს თვისების გამოსაკვლევად და ამბობს, რომ ფრიად სასურველია, რომ ეს წყარო გამოიკვლიონ, რადგანაც ეხლა მას ეტანება ყოველ გვარი ავად-მყოფები; უეჭველია, რომ წყაროს ნამდვილი თვისების უცოდინარობა ზოგჯერ არამც თუ სარგებლობას, არამედ ვნებასაც მოუტანს ავად-მყოფს.

≈≈ მ. ტ. ლორის-მელიქოვს შეუწირავს მოსკოვის უნივერსიტეტისათვის **14,400** მანეთი, რომლის სარგებელი შეადგენს ორს სტიპენდიას; ამ სტიპენდიების მიღების უფლება ექნებათ მხოლოდ მოსკოვის უნივერსიტეტის კავკასიელ სტუდენტებს; იმ შემთხვევაში თუ კავკასიაში უნივერსიტეტი დაარსდება, ეს სტიპენდიები გადატანილ იქნებიან ამ უკანასკნელში.

≈≈ **ტ**ფილისის ქუჩებზედ მეტად გამრავლდა მთხოვარები, რომელთაც შესაძრწუნებელი მოქმედება აქვსთ საზოგადოებაზე. პატარა ბავშვები დაგლეჯილის ტანისამოსით, ფერმიხდილები, ავად-მყოფები, ტირილით და კვნესით ითხოვენ მოწყალებას და გაჭირვებულს ხალხში სულის მოსაბრუნებელს ძლიერ შეულობენ. საკვირველია, რომ ამდენს საქველ-მოქმედო საზოგადოებათ, რომლებიც ღარიბებისათვის მართვენ სეირნობას, ალეგრიებს, წარმოდგენებს, დღემდის არავითარი საშუალება არ აღმოუჩენიათ ამ მაწანწალებისთვის და გულგრილად უყურებენ იმათ მდგომარეობას.

≈≈ **ჩ**ვენის გაზეთის ფურცლებზედ არა ერთხელ ყოფილა ნალაპარაკევი, თუ რამდენად ძნელია სასწავლებლებში მისაღებ ბავშვებისთვის საკონკურსო ეგზამენები. ეს გაჭირვება, რასაკვირველია, ყველაზედ მეტად სოფლელებსა სჩაგრავს და ქალაქელებს კი ხელს უმართავს, რადგანაც უკანასკნელები უკეთეს პირობაში დგანან და ყოველთვის უკეთესად შეუძლიანთ მომზადება. სხვათა შორის წელს კორპუსში მისაღებად ერთი ქობულეთელი ბავშვიც ჩამოიყვანეს, მაგრამ კონკურსზედ ტფილისელებმა გაიმარჯვეს და ქობულეთელს მიღებაზედ უარი უთხრეს.

ეხლა შევიტყეთ, რომ ეს ბავშვი სათავად-აზნაურო სკოლაში მიუღიათ და ხარჯი კი თავ. ქ. ი. მუხრანბატონს უკისრნია.

სასიამოვნოა, რომ ახლად შემოერთებული მხრის კაცი გულ-ნაკლულად არ დაბრუნდა და დარწმუნდა, რომ ქრისტიანი ქართველები ყოველთვის მზად არიან ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინონ თავიანთ მოძმე მაჰმადიანებს.

≈≈ **ჩ**ვენ გვატყობინებენ, რომ ქართულს სცენაზედ რამდენიმე ქალსა სურს შესვლა. ეს სასიამოვნო ხმა მით უფრო სანატრელია, რომ ჩვენს სცენას დღევანდლამდის დრამატიული არტისტკა არ აღმოსჩენია.

≈≈ **ს**ოფ. ქასპს ორიგინალური საშუალება მოუგონია, რომლითაც ვაჭრებს იძულებულს ჰყოფს ცოტათიც არის სვინდისიანად გაყიდონ საქონელი და უზომო, მეტის-მეტად დიდი მოგება არ აიღონ; საერთო ყრილობაზედ სწყვეტენ მაზანდას და სდებენ პირობას, რომ იმაზედ მეტად არავინ იყიდოს. პირობის გამტეხს ჯარიმას ახდევინებენ.

≈≈ **ი**ქიდგანვე იწერებიან, რომ პირველის იანვრიდგან სოფლის გარდაწყვეტილებაზედ იქნება დამოკიდებული ვისაც დუქნის გაღების ნებას მისცემენ.

≈≈ **ტ**ფილისში გავრცელდა ხმა, რომ ბ. როდოკონაკი კამპანიას აღგენს შავს ზღვაზედ თორმეტი გემის გასამართად. ამათ შორის სამგზავრო გემებიც იქნებიანო. ამ გემების დანიშნულება იქნება, «რუსეთის საპარახოდო და სავაჭრო საზოგადოებას» კონკურენცია გაუწიოსო.

≈≈ **ს**აქართველოს აქამდის მოშორებული ჰქონდა ერთი უსაძაგლესი სენი, რომელსაც ბორჩალოს მხარეს ისე მაგრად გაედგა ფესვი. ეს გახლავთ ჯიბრით, ანუ მტრობით ქირნახულის დ წვა.

ეხლა «**ს**ამთავისიდგან» იწერებიან, რომ იქ ამ დღეებში იქაურს მღვდელს ქირნახული მთლად გარდაუწვეს. იმედია, რომ იქაური მაზრის უფროსი, თ. ამილახვარი დროზედ მიმართავს ახლად შემოღებულს სენს და გონიერულის განკარგულებით მის გავრცელებას მოსპობს.

## რუსეთი

— **ი**წერებიან, ვითომც რუსეთის სამმართველო წრეებში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ებრაელებს, რომლებსაც აქვს ქარხნები, აღეკრძალოთ ქრისტიანებს მუშებს ქირა.

— **რ**ოგორც ამბობენ რუსული გაზეთები, მმართებლობა იკვლევს ამ ჟამად სამოქალაქო წესდებულების გარდაკეთების პროექტს, რომლის ძალითაც გაუქმებულ უნდა იქმნეს მოქალაქეების ის გარდასახადი, რომელიც მათ შეაქვთ ქალაქის გამგეობაში; ეს გარდასახადი დაედება მაღალ წოდების წევრთა და იმ პირთა, რომლებიც მუდმივ ქალაქში სცხოვრობენ.

## უცხოეთი

— **რ**უმჩუკიდამ ერთს სამზღვარ გარეთელ გაზეთში იწერებიან შემდეგს: რუსეთის აგენტს იონინს გამოუცხადებია ბულღარიის ერთს დეპუტაციისათვის, რომ რუსის ღენერლები უსათუოდ დაჰყოფენ კიდევ ორს წელიწადს ბულღარიაში; იმავე აგენტის სიტყვით, მოძრაობა და ინტრიგები, რომლებიც მიმართულნი არიან რუსის ოფიცრების და მოხელეების განდევნისათვის ბულღარიიდგან, ითვლება რუსეთის და მისი მმართებლობის წინააღმდეგობათ.

— **რ**ოგორც სწერენ, პრუსიის მინისტრების განკარგულების ძალით გაუქმებულ იქმნა ფრანცუზული სალიტერატურო და სავაჭრო საზოგადოება ქ.-ს მეცში. ერთი გაზეთის სიტყვით, ეს გარემოება გამოწვეულია იმავე საზოგადოების ზოგიერთა წევრების მოქმედებით და გავლენით საფრანგეთის სასარგებლოდ.

— **ა**ვსტრო-ვენგრია. ვენგრიელები ერთიანად აჯანყდენ ებრაელების წინააღმდეგ და ამასობაში ანგრევენ მათს სახლებსა, მაღაზიებსა და აოხრებენ მათ ცხოვრებასა. იშვიათია ისეთი სისხ-

---

აზრებული ჩვეულება ეტყობა. ეს არის სახალხო ლექცია, სახალხო წარმოდგენა; აქ გამოიხატება მათი შეხედულება, გონების განათლება, მათი ზნეობა და სულის მოძრაობა. აქედგან შეგიძლიანთ შეუცდომლად დაინახოთ, რა ხალხთან ჰქონიათ დამოკიდებულება, რომელ ხალხს ჰქონია მათზედ გავლენა.

არც ლოთობა, არც ერთმანეთის ღვინის სმის დაძალება, რომელიც ისე თავ-მოსაწონად გვაქვს გამხდარი, არც ყომარბაზობა! ყველანი მოისმენენ ტკბილს ლაპარაკს, იქნება სამშობლო ისტორიასაც...

ბევრი ქრისტიანი შენატრებს ამ მოაზრებულს დროს გატარებას და თავის ხალხისთვისაც ამასვე ისურვებს.

X

აგერ მეჩეთიდგან აცნობეს მართლ-მორწმუნე მაჰმადიანებს, რომ ღმერთი მოიგონონ; ხალხი მიეშურება მაღალს და ქვითკირის წმინდა შენობას, რომელიც გაჩაღებულია ხომლში ჩანთებულის სანთლებით.

მოლა ქადაგებს, კითხულობს მაჰმადის ფილოსოფიას, კანონებს; უხსნის იმათ მნიშვნელობას, უხსნის ისე რომ ყველამ გაიგოს, ყველამ გაიგონოს მისი სიტყვები. მართლ-მორწმუნე მაჰმადიანნი დგანან მოწიწებით, ბევრს მათგანს ესმის, რომ, სალოცავს გარედ, აქ სასწავლებელიც არის. ყველას ყურთა-სმენა მიპყრობილია ყორანის სიტყვებისკენ. არც ლაპარაკი, არც მისალმება მათ შორის, ყველა ერთის გრძნობით არის მოცული—ისინი მოსულან სალოცავად და ლოცულობენ. არსადა სჩანს მხოლოდ ქალები; ისინი უწმინდურად ითვლებიან... უფრო-კი მგონი კაცის მსუნაგი თვალის წამცდენად...

X

მეჩეთის კარებთან შეჯგუფებულან მაყურებელნი. აქ ყოველ გვარი და ყოველი ხარისხის საზოგადოებაა. ხედავთ კოხტად ჩაცმულს «ბარიშნას», რომელსაც კუდსავით ასდევნებია მარსის რამდენიმე შვილი. ისინი ჩურჩულობენ, წყნარად ხითხითებენ, სულ რაღაცა საიდუმლო აქვსთ. აგერ ვიღაც სარაფანიანიც გასიებულა, გასქელებულა, თითქოს ვიღაცას განგებ გაუბერავს. ტ ვზედ აპრელებული ხელსახოცი ახვევია. პირდაღებული განცვიფრებით უყურებს მაჰმადიანთ ლოცვას. ყოველი ამათი მოძრაობა ქალს აკვირვებს, მლოცველებისკენ ხელს აშვერინებს და წამოიძახებს: **ишъ ты! во как! чудно пра, чудно!**

— **Молчи дура!...** მოისმის მასთან მყოფი კაცის ხმა და ბოლოს თითონვე იძახის:—**ишты!.. во какъ!.. пра чудно!...**

აქ არა რიდობენ, ხმაურობენ, ელაპარაკებიან, ეალერსებიან ერთმანეთს და უშლიან მლოცველებს. აქ აშკარად გამოიჩენს თავს ხალხის ზრდილობა.

X

შემოდის მუნდირიანი კაცი. კოხტად დაუყენებია «ბაკები»; ისე იყურება, თითქოს იძახდეს:

— სულ მე ვარ, რაცა ვარ, თორემ თქვენ ვინა ჰყრიხართ?! გინდა ეხლავე გაგსრისოთ?

მაგრამ, რადგანაც გასრესა არავისა სურს, ამისთვის ყველანი ეცლებიან, ეჩიდებიან, თითქოს თვით ხოლერა შემოიჭრაო და ის ემუქრებოდეს.

აგერ ვიღაცას ჩააცქერდა მუნდირიანის თვალები. ვინ არის საცოდავი? ვინ იცის, გადარჩება თუ არა?

მსხვერპლმა იგრძნო ძრიელი მაგნიტის მოქმედება; ველარ უძლებს ძრიელი თვალების მოქმედებას, სუსტდება, ცახცახებს.

— შენ ვერ გახდები ჩემი სიძე! კბილების ღრჭიალით წარმოსთქვამს ლურჯი კაცი.

მსხვერპლი ეშურება გავიდეს აქედგან, მოეცალოს მტარვალს.

X

წელს, არ მახსოვს რომელ თვეს და რა რიცხვს იყო, ბურუნ-ტაბეს გორაზედ იპოვეს ვიღაცა კაცი. მას ტყვიით გული გაეხვრიტა, ლურჯი კაციც აქ იდგა და ჩასცქეროდა.

ერთბაშად მას გულში აზრმა გაურბინა:—გითხარ ვერ გახდები ჩემი სიძე!

მართლაც რომ ვერ გახდა.

(დასასრული)

ლის დღეს, როგორისაც ესლა შეესწრენ ებრაელები, ჯარებმა ვერა გააწყვეს რა აჯანყებულების წინააღმდეგ, რომლებიც შეიარაღებულნი არიან სხვა და-სხვა იარაღებით; მკვდრები და დაჭრილები იმოდენია, რომ საავადმყოფოები და კლინიკები ავსებულნი არიან მომაკვდავებით და სასიკვდილოდ დაჭრილებით. გაბრაზებულმა ხალხმა დაუშინა ქვები სალდათებსა, რომლებმაც პასუხი გასცეს თოფის სროლითა და კარგა მალი ხალხი დასჭრეს. ამის შემდეგ კიდევ უფრო გამძლიერდა ომი და იმ ღამესვე მრავალი გლეხ-კაცობა მოგროვდა მახლობელ და შორეულ სოფლებიდგან ცალა-ეგერსცეგში.

საცოდავი ებრაელები გარბიან უბედურებისაგან, სტოვებენ თავიანთ საცხოვრებელსა; მოწვეული ჯარები ვერ გასწვდა აჯანყებას და ყოველს წამს ვენაში მოდის ცნობა ახალს არეულობაზე სხვა-და-სხვა კუთხეებში; მთავრობამ არ იცის, როგორ იმოქმედოს. ხალხი მლიერ აღელვებულია და პეშტში ემინიათ, რომ ხალხის მოძრაობამ ებრაელების წინააღმდეგ არ მიიღოს ცხადი პოლიტიკურის აჯანყების ხასიათი, ერთის სიტყვით, ვენგრიელების მოძრაობამ ებრაელების წინააღმდეგ მლიერ დააფიქრა მმართებლობა.

ამასობაში ლაპარაკობენ, რომ ხორვატების უკმაყოფილება ვენგრიის მმართებლობაზე ცხადის და ყურადღების ღირსია. უცხოეთის გაზეთები ამბობენ, რომ მოძრაობა ებრაელების წინააღმდეგ იმოდენად საშიში არ არის, რამოდენადაც საშიშოა სლავიანების საქმე, ე. ი. ცხადი უკმაყოფილება ვენგრიის მმართებლობაზე ხორვატებსა და სლავიანელების შორის. იგივ გაზეთები ამბობენ, რომ ამ არეულ-დარეულობაში დამნაშავენი არიან ვენგრიის მმართველნი, რომლებსაც ვერ შეუგნიათ, თუ რა არის ნამდვილი და სამართლიანი პატრიოტიზმი, და ამისათვის სცდილობდნენ შეემუსრათ სხვა ტომის ხალხები და ექციათ იგინი მადიარებათ (ვენგრიელებათ). საფრანგეთის მწერლობა თანაგრძნობას უცხადებს სლავიანებს და ჰკიცხავს ვენგრიელებს, რომლებიც მოწადინებულნი იყვნენ დაეჩაგრათ სლავიანები. ნემეცური გაზეთები ამბობენ, ვითომც იგინი წინათაც აფრთხილებდნენ ვენგრიელებს და ურჩევდნენ მათ, რომ ძალდატანებით არ ემოქმედათ უცხო ტომის ხალხების წინააღმდეგ, რომ ძალით გამადიარება ამ უკანასკნელთა ყოვლად შეუძლებელი საქმეა

პეშტის კაბინეტი ამ შემთხვევაში მომხრეა სასტიკი ზომებისა; ვენაში კი უფრო ადამიანურად უყურებენ ხორვატებსა და ამისათვის პეშტის კაბინეტმა სამსახურიდამ დათხოვნა უნდა ითხოვოს. ხორვატიაში ამ ჟამად ყველა დასები შეერთდნენ ვენგრიის მმართებლობის წინააღმდეგ და ხორვატიის დაჩაგრული ხალხი ეხლა გაიძახის: «სჯობს ერთიანად დავიღუპოთ და ამოვსწყდეთ, ვიდრე დღითი დღეზე ვიტანჯოთ და მუდმივ მონებაში ვატაროთ ჩვენი სიცოცხლეო.

ცხადია, რომ ვენგრიის უბედურებაში დამნაშავენი არიან მისივე მმართველნი, მიმდევარნი ცრუ და უსამართლო პოლიტიკისა, რომელიც სცდილობს დაჩაგროს უცხო ტომის ხალხი და დააკარგვინოს მას თავისი ხალხოსნობა. ვენგრიის მმართველთ უნდა შეეგნოთ ის ჭეშმარიტება, რომ სხვისი შემუსვრით და დაჩაგვრით არასოდეს არ მოიპოვება საკუთარი ბედნიერება და მშვიდობიანობა. კაცობრიობის ისტორიიდამ მათ შეეძლოთ იმის შეტყობა, რომ იმ პოლიტიკას, რომლის მიმდევარნიც იგინი არიან დღეს, მრავალი უბედურება მიუყენებია სხვა-და-სხვა ხალხებისათვის და მრავალი უმანკო სისხლი დაუღვრია ყოვლად უსარგებლოდ.


## განცხადებანი

ა. მირზაშვილის

რეპეტიციის და მოსამზადებელი

კლასები

აცხადებენ, რომ მიღება მოწაფეებისა იწყობა 22 აგვისტოდამ და სწავლა პირველს სექტემბრიდამ. ადრესი: გრიგოლ სოლომონის-ძის აბესალომოვის სახლებში, ოშჩესტვენის ქუჩაზედ, ეგზარხის მოედანის მახლობლად. (20—11)

ჩვენ გვსურს ავიყვანოთ ყმაწვილები ნახლებნიკათ. (ქალი თუ ვაჟი სულ ერთია). მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ბუკიაში ახალი არსენალის ქუჩაი ლიკო მანდიევის სახლი № 24. (5—2)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

X

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—26)

## სტამბა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშვეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—16)

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და აღრიანდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—33)



## მაკ-მასტერი

იქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად-ერთი საგენტო — ინგლისის მაღაზია. იქვე აურაცხელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალ[illegible] იატაკისათვის კლეონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შრიფტები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქამ ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—74)


## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე 1883 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | 2½ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 გ. | 3½ |
| მესამისა — | —1 გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 3½ |
| მესამისა — | —1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდის
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензурою. Тифлисъ, 30 Августа 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი